



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი
ელული
№9 (457)
(5779)
2019

“מנורה”
עיתון יהודי
בגוריה

გილოცავთ ებრაული წელთაღრიცხვის
ახალ – 5780 წელს!



რწმუნების სიგელის გადაცემა

ჩვენი გაზეთი უკვე იუნჯებოდა, რომ ლაშა ჟვანიას ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა. ბ-ნი ლაშა მეორედ გახდა საქართველოს ელჩი ისრაელის სახელმწიფოში — პირველად იგი ამ მისიით 2005 წ. ჩავიდა ამ სახელმწიფოში და იყო 2008 წლამდე — მანამ სანამ საქართველოს პარლამენტის წევრი გახდებოდა, პარლამენტში კი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

ლაშა ჟვანიას ამჟამინდელ დანიშვნას სიხარულით შეხვდნენ ისრაელისა და საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებმაც ახსოვთ, თუ რაოდენი — ყურადღებიანობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეული ელჩი გახლდათ იგი.

ამ დღეებში ლაშა ჟვანიამ რწმუნებათა სიგელი გადასცა ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტს რეუვენ რივლინს. პრეზიდენტმა და ელჩმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს ქართველთა და ებრაელთა სახელმწიფოების ისტორიულ მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც ჩვენს დროშიც გრძელდება, ისაუბრეს მომავლის პერსპექტივაზე — დასახეს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარების გზები.



შეხვედრა ჯამაათთან

თბილისის დიდი სინაგოგის გაბაიმ მერაბ ჩანჩალაშვილმა ჯერ კიდევ ორი კვირით ადრე აუწყა ჯამაათს, მერე კი ელექტრონული ფოსტით შეახსენა, რომ 10 სექტემბერს მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი იაკობ გაგულა — გაგულაშვილი ჯამაათს შეხვედებოდა. გაბაი შეხვედრაზე ინვესტა თბილისის ებრაელობას და იმასაც აუწყებდა, რომ ექნებოდათ მათთვის მნიშვნელოვანი, საჭირობო საკითხების მთავარი რაბინის წინაშე დასმისა და განხილვის საშუალება.

მთავარ რაბინს ენადა ჯამაათისაგან მოესმინა ის საკითხები, რაც მათ ანუხებს და რომელთა მოგვარებაც სწადიათ.

ასეც მოხდა — 10 სექტემბერს გაიმართა მთავარი რაბინისა და ჯამაათის, სამწუხაროდ, არცთუ ხალხმრავალი შეხვედრა. ცხადი გახლდათ, რომ მთავარი რაბინი შეხვედრისათვის კარგად გახლდათ მომზადებული — იგი ხშირად არის თბილისში, ეცნობა ჯამაათის ცხოვრებას, აქედან გამომდინარე, მისი მიმოხილვა საინტერესო გამოდგა. მან ყურადღება გაამახვილა ქაშურთის დაცვის საკითხებზე, ისაუბრა ოჯახური ყოფის სინამდვილეზე და დაანონსა, რომ იგეგმება ნიკვეს ქალაქის ცენტრში გადატანა. ასევე დაანონსა საკმაოდ ძნელად შესასრულებელი რამ — გიურის პროცედურის თბილისში ჩატარება — როგორც ცნობილია, საქართველოს მოქალაქეები ამ რთულ და ხანგრძლივ პროცედურას მოსკოვში, ან ისრაელში გადაიან.

ნათია იოსებაშვილი

პარლამენტს ზურგი აქცია

პრესა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ბიზნესმენსა და საქართველოს პარლამენტის წევრს შოთა შალელაშვილს („ქართული ოცნება“) დეპუტატის მანდატის ტარება აღარ სურს.

შოთა შალელაშვილმა განაცხადა, რომ ბიზნესს უბრუნდება, თუმცა, დადის ხმები იმის თაობაზე, თითქოს დეპუტატს პარლამენტიდან ნასვლა ასევე ბიზნესმენთან და დეპუტატთან გაა მიქელაძესთან კონფლიქტმა

აიძულა (განვმარტავთ რომ ორივე საქართველოს ერთი პატარა სოფლიდან — სამტრედიის რ-ის სოფელ კულაშიდან გახლავთ).

შოთა შალელაშვილი არ იყო მდუმარე პარლამენტარი — აქტიურობით გამოირჩეოდა და, როცა საჭიროდ მიიჩნევდა, საკმაოდ რეზონანსულ განცხადებებს აკეთებდა. ამის დასტურად იუსტიციის მინისტრთან მისი დაპირისპირების გახსენებაც კმარა.

„მენორა“ შოთა შალელაშვილის საპარლამენტო მოღვაწეობის ერთობ დადებით ეპიზოდად მიიჩნევენ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების თაობაზე გაკეთებულ განცხადებას. აშშ პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებისა



და აშშ მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების შემდეგ, შოთა შალელაშვილმა საქართველოს

ხელისუფლებას მოუწოდა, აშშ კვალდაკვალ იერუსალიმი მასაც ელიარებინა ისრაელის დედაქალაქად. საქართველოს ხელისუფლებამ ეს მოწოდება არა მხოლოდ არ მიიღო, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა ლამის საჯაროდ გააკიცხა შ. შალელაშვილი ამ მოწოდების გამო, ეს კი გასაკვირი გახლდათ იმ ფონზე, როცა საქართველო ისრაელთან მეგობრულ ურთიერთობას დეკლარირებს.

აქვს კი აზრი პარლამენტის ისეთ წევრობას, მაშინ როცა მოსაზრების გამოთქმის გამო შესაძლოა, თითქც დაგიქნიონ?

გ. აბრამიშვილი

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ძვირფასო ბატონ ბიძინა, დიდი სიხარული მომგვარა ქუთაისში ახალი ქართული საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობის ცნობამ. მე, ქართველ ებრაელს, ყოველთვის მახარებდა და მახარებს, ჩვენი ქვეყნისთვის გადადგმული ყოველი სასიკეთო ნაბიჯი. იმას, რასაც თქვენ საქართველოს მომავლის, ეკონომიკური ძლიერებისა და წინსვლისთვის აკეთებთ, ანალოგი არ გააჩნია.



მინდა შევთხოვო უზენაესს, რომ წარმატება გქონოდეთ, ასევე მნადია გამოვხატო თანადგომა და საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობის საქმეში ძალიან მცირე, მაგრამ გულწრფელი წვლილი შევიტანო: ჩემი — 85 წელს მიღწეული ებრაელი კაცის დანაზოგიდან ერთი თვის პენსია გადავრიხხო საუნივერსიტეტო მშენებლობის ფონდში. მართალია, ეს უმცირესია, მაგრამ ქართველ კაცს უთქვამს კეთილი გულით მიძღვნილი მცირედიც შეინიერებისო.

პატივისცემით,

სოსო (იოსებ) აჯიაშვილი
თბილისი, 24 სექტემბერი 2019 წ.

რედაქციისაგან: სასიამოვნოა, როცა ებრაელი კაცი — თბილისის ებრაული თემის წარმომადგენელი, ასეთ აქტივობას იჩენს. საერთოდ კი სოსო (იოსებ) აჯიაშვილისაგან ასეთი გულმხურვალე დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესისადმი, პირველი როდია — მან ჭუბერის ტრაგედიის დღეებშიც თქვა თავისი სათქმელი სიტყვა და იუდეველმა კაცმა სამების ეკლესიის მშენებლობაშიც მიიღო მონაწილეობა, რადგან სჯერა: რწმენა აჯანსაღებს ადამიანის სულს.

ასე იყო და ასე იქნება!

ისრაელიდან რუსებსაც აბრუნებენ

„რია ნოვოსტი“ დიპლომატიურ წრეებში მაღალი თანამდებობის პირზე დაყრდნობით იტყობინება, რომ რუსეთის მოქალაქეებს სულ უფრო ხშირად ეუბნებიან უარს ისრაელის საზღვრის გადალახვაზე.

ამ წყაროს მიხედვით, 2017 წელს ისრაელის საზღვარი არ გადააკვეთინეს რუსეთის 1.400 მოქალაქეს, 2018 წელს 4.300 რუსეთელს უთხრეს უარი ისრაელში შესვლაზე, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 3000 რუსეთელი არ შეუშვეს ისრაელში.

NEWS.ru.co.il-ის რედაქციამ სთხოვა ისრაელის მოსახლეობის რეგისტრაციისა და მიგრაციის სამმართველოს ზუსტი ცნობა იმის თაობაზე მიმდინარე — 2019 წ. რუსეთის რამდენი მოქალაქე შევიდა ისრაელში როგორც ტურისტად. რედაქციამ მიიღო ასეთი პასუხი: 31 ივლისის ე.ი. მიმდინარე წლის შვიდი თვის მონაცემებით, ისრაელში ჩავიდა რუსეთის 189 838 მოქალაქე ტურისტად, 3560 ტურისტს უარი ეთქვა საზღვრის გადაკვეთაზე, 584 ტურისტი არალეგალურად დარჩა ისრაელში, 2 177 ითხოვა თავშესაფარი. ამ პერიოდში 440 არალეგალური პირი (რუსეთის ფედერაციიდან) იქნა დაკავებული და გამოძევებული ისრაელიდან, 538 კი ისრაელში ცხოვრების თანამგზავრი იშოვა — გათხოვდა, ან ცოლი შეირთო და ამის საფუძველზე სახელმწიფოში დარჩენა ითხოვა. აღინიშნება თავშესაფრის მთხოვნელთა რაოდენობის ზრდა.

რა მდგომარეობაა უკრაინის მოქალაქეების მიღებასთან დაკავშირებით?

2018 წ.უკრაინიდან ისრაელში ჩავიდა 158 ათასი ტურისტი. ამათგან შვიდი ათას შვიდასოცდაათი დეპორტირებული იქნა საზღვრიდანვე — ქვეყანაში არ შეუშვეს.3.647 სახელმწიფოში დარჩა არალეგალურად, 1765 პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. 4.725 არალეგალურად მცხოვრები უკრაინელი დაკავებული და ქვეყნიდან დეპორტირებული იქნა, 1569 უკრაინელმა ისრაელში ცხოვრების თანამგზავრი ჰპოვა.

მარჯვნივ, თუ მარცხნივ — საით წავა ისრაელი?

ქანსათის კიდევ ერთი რიგბარაშე არჩევნები



9 აპრილს ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა ვერცერთ პარტიას ვერ მოუტანა ისეთი დამაჯერებელი გამარჯვება, რომ შექმნილიყო მთავრობა. ვერც კოალიციურმა მოლაპარაკებებმა გამოიღო სასურველი შედეგი და სახელმწიფო იძულებული გახდა დაენიშნა კიდევ ერთი არჩევნები, რომელიც არცთუ იაფი სიამოვნებაა. განმეორებითი არჩევნები 17 სექტემბერს გაიმართა. არჩევნებში 32 პარტია, ბლოკი მონაწილეობდა. ამ დღეს დილის 7 საათზე გაიხსნა 10.788 საარჩევნო უბანი, რომელზეც უნდა მოსულიყო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ექვსი მილიონ სამასოთხმეცდათოთხმეტი ათას ოცდაათი 18 წლისა და მეტის ისრაელის მოქალაქე. ამომრჩეველთა აქტივობა საკმაოდ მაღალი გახლდათ — 70% გადააჭარბა. იმდენად რამდენადაც ხმების დათვლის სიზუსტეს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, ეს პროცესი ერთობ აუჩქარებლად წარიმართა — მხოლოდ 20 სექტემბერს გახდა ცხადი, თუ რომელმა პარტიამ რამდენი მანდატი მოიპოვა. შედეგი ასეთია:

- კახოლ-ლავანი** (ცისფერი და თეთრი — ისრაელის დროშის ფერები) — 33,
- ლიკუდი** — 31,
- არაბთა გაერთიანებული**
- სია** — 13,
- შასი** — 9,
- ჩსი** (ჩვენი სახლი ისრაელი) — 8
- იაადუთ შა-თორა** — 8
- იამინა** — 7
- ავოდა-გეშერი** — 6
- დემოკრატიული ბანაკი** — 5

ასე რომ, პარლამენტში შევიდა 9 პარტია და ბლოკი.

მემარცხენე ცენტრისტულმა და არაბულმა პარტიებმა — პოლიტოლოგებს ამათი კოალიცია დასაშვებად მიაჩნიათ, ჯამში დააგროვეს 57 მანდატი, რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შექმნან მთავრობა და ქვეყანას სათავეში ჩაუდგინენ.

მემარჯვენე პარტიებმა (ამ კოალიციის ლიდერად ბინიამინ ნეთანიაჰუ მიიჩნევა), ქნესეთში 55 ადგილი მიიღეს, რაც მითუმეტეს არ არის საკმარისი მთავრობის შესაქმნელად.

ალმოჩნდა, რომ საკითხს, თუ ვინ შექმნის მთავრობას და ვინ გაუძღვება ქვეყანას, გადაწყვეტს პარტია „ჩვენი სახლი ისრაელი“, რომლის ლიდერი მოლდავეთიდან რეპატრირებული ავიგდორ ლიბერმანი გახლავთ. ჯერ აპრილში, შემდეგ კი სექტემბერში, ვადამდელი არჩევნები, სწორედ მისი და ბ.ნეთანიაჰუს უთანხმოებით იქნა განპირობებული. ნეთანიაჰუს მთავრობაში იგი თავდაცვის პოსტს იჭერდა.

საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე კახოლ-ლავანის პარტიის თავმჯდომარემ ბენი განცმა განაცხადა:

— ხალხმა ხმა მისცა ეროვნულ ერთიანობას. ჩვენმა პარტიამ გაიმარჯვა. მე ფართო ლიბერალულ კოალიციას ჩამოვყალიბებ, რომელიც უპასუხებს ამომრჩევლის გულისთვის.

მაგრამ როგორ? შეიქმნა ერთობ რთული სიტუაცია: ცხადია, მთავრობას შექმნის ის კოალიცია, რომლის წევრობასაც ჩსი მოისურვებს, მაგრამ

ლიბერმანი არ ინდომებს შეუერთდეს მემარჯვენე ბლოკს: იქ რელიგიური პარტიები არიან — ჩსი და ლიბერმანის დაუცხრომელი მონინალმდეგენი. რელიგიური პარტიების ლიდერებმა ლიბერმანი „ყამალეკად“ (ბიბლიური ისრაელის მოძულე და მის წინააღმდეგ მებრძოლი ტომი) გამოაცხადეს. ავიგდორ ლიბერმანი არც მემარცხენე ბლოკთან ისურვებს გაერთიანებას — იქ არაბული პარტიები არიან. თუმცა, პოლიტიკაში ყველაფერი ხდება. პოლიტიკური კონიუნქტურა არ გამოირიცხავს არც ლიბერმანისა და ნეთანიაჰუს ისევ გაერთიანებას და არც იმას, რომ ავიგდორ ლიბერმანი მთავრობაში არაბული პარტიების ლიდერების გვერდით დაჯდეს. თუმცა, ეს უკანასკნელი ძნელად სავარაუდოა.

პოლიტიკური კონიუნქტურა არ გამოირიცხავს, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია — ამ შემთხვევაში ავიგდორ ლიბერმანმა ბევრ რამეზე უნდა თქვას უარი.

როგორ განვითარდება მოვლენები — ვინ გაუძღვება ისრაელის სახელმწიფოს?

მოვლენათა თანმიმდევრობა ასეთია:

არჩევნების საბოლოო შედეგები, რომელშიც მითითებული გახლავთ, თუ რომელმა პარტიამ რამდენი მანდატი მიიღო, პრეზიდენტ რეუვენ რივლინს უკვე გადაეცა. ახლა პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი პარტიის ლიდერს დაევალოს მთავრობის შექმნა. პრეზიდენტის ამოცანაა, მთავრობის შექმნის ფუნქცია დააკისროს იმ დეპუტატს, რომელსაც ყველაზე მეტი შანსი აქვს პარტიების წარმომადგენლებისგან მთავრობა ჩამოაყალიბოს.

იმ დეპუტატს, რომელსაც პრეზიდენტი ამ მისიას დააკისრებს, საქმის გასასრულებლად ეძლევა 28 დღე. ნდობამოპოვებულმა დეპუტატმა ამ ხნის განმავლობაში უნდა დაიწყოს მოლაპარაკება კოალიციის პოტენციურ წარმომადგენლებთან. აპრილში ჩატარებული არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტ რეუვენ რივლინისა და პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრა გამჭვირვალობის მიზნით, ტელევიზიით გადაიცემოდა. პრეზიდენტი რივლინი ამჯერადაც საჯაროდ აპირებს პარტიების მოლაპარაკებულ ჯგუფებთან შეხვედრებს — პარტიების წარმომადგენლები ერთმანეთის მიყოლებით გამოცხადდებიან პრეზიდენტის კანცელარიაში. პრეზიდენტი ყოველი პარტიის წარმომადგენელს ერთსა და იმავე შეკითხვას დაუსვამს:

— ქნესეთის რომელ დეპუტატს აძლევთ რეკომენდაციას შექმნას ახალი მთავრობა?

ქნესეთის იმ დეპუტატს, რომელსაც მთავრობის შექმნას დაავალდებენ, ეძლევა 28 დღე — ამ ხნის განმავლობაში იგი აყალიბებს ახალი მთავრობის ძირითად პრინციპებს, ეწევა კოალიციურ მოლაპარაკებას პოტენციურ პარტნიორებთან და ქმნის მთავრობას. ამ ეტაპზევე ხდება მინისტრების პორტფელის განაწილება.

თუ ნდობა გამოცხადებულმა დეპუტატმა 28 დღის განმავლობაში კოალიციური მოლაპარაკებების გზით ვერ შესძლო მთავრობის ჩამოყალიბება, მას ეძლევა დამატებითი 14 დღე. თუ ამ 28+14 დღის განმავლობაში მთავრობა ვერ შეიქმნა, პრეზიდენტი კვლავ ხდება პარტიების წარმომადგენლებს, ეწევა მათთან კონსულტაციას და სხვა

დეპუტატს ავალდებს მთავრობის შექმნას. ამ პირს საქმის ბოლომდე მისაყვანად, მხოლოდ 28 დღე ეძლევა — მას ვადა არ გაუგრძელდება.

თუ მეორე ნდობამოცხადებული დეპუტატი ვერაფერს გახდება — მთავრობას ვერ ჩამოაყალიბებს, პრეზიდენტი უფლება აქვს დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები. თუმცა, თუ პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარეს აცნობებს, რომ დეპუტატებს შორის ვერ მოინახა ადამიანი, რომელსაც შეუძლია მთავრობის შექმნა, 61 (და მეტ) დეპუტატს შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

ამჟამად როგორ განვითარდება მოვლენები?

გაზეთის დაბეჭდვის წინ მდგომარეობა ასეთი გახლდათ: არაბულმა პარტიებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მემარცხენე პარტიის — კახოლ-ლავანის ლიდერს ბენი განცს გამოუცხადეს ნდობა. არაბული პარტიების ლიდერმა თქვა, ეს არისო ბ.ნეთანიაჰუს დამარცხების გზა. მაგრამ მემარცხენე პარტიის ლიდერი განცი კოალიციის შექმნას არ ჩქარობს. როგორც ვარაუდობენ, შიმობს, რომ ვერ შეაგროვებს მთავრობის შექმნისათვის აუცილებელ უმრავლესობას — 61 და მეტ მანდატს, განცი არჩევს ჯერ ნეთანიაჰუმ მიიღოს მთავრობის შექმნის ნინადადება და როცა იგი დამარცხდება, 61 და მეტ მანდატს ვერ შეაგროვებს, მერე შეუდგეს საქმეს. მოქმედების იგივე გეზი აქვს არჩეული მემარჯვენეთა ლიდერ ბ. ნეთანიაჰუს.

ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტი რივლინი უფრო გააქტიურდება — მთავრობის ჩამოსაყალიბებლად ნდობამოცხადებულ პიროვნებას დამატებით 14 დღიან ვადას აღარ მისცემს და თავად შეეცდება ყოველ ფრაქციაზე ზემოქმედებას, რათა შეიქმნას ეროვნული ერთიანობის კოალიციური მთავრობა.

არის კიდევ ერთი ვარიანტი: მთავრობას როტაციის წესით უხელმძღვანელოს როგორც კახოლ-ლავანის მეთაურმა ბენი განცმა, ასევე ლიკუდის მეთაურმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ. ეს პოლიტიკური სიახლე ისრაელს ეკუთვნის — 1984 წ. როცა საპარლამენტო არჩევნების შედეგად ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა სრული გამარჯვება, მთავრობას როტაციის წესით ხელმძღვანელობდნენ შიმონ პერესი (პარტია მარახი) და იცხაკ შამირი (ლიკუდი). ეს მეთოდი სახელმწიფოს მართვისა, ისრაელის გამოგონებაა — მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

ამის პარალელურად, ახლადარჩეული მეთორმეტე მონვევის ქნესეთი (პარლამენტი) არჩევნებიდან ორი კვირის თავზე — 1 ოქტომბერს შეიკრიბება. 1 ოქტომბერი კი ებრაული ახალი წლის მეორე — გედალიას მარხვის — დღე გახლავთ. ამიტომ პარლამენტის სხდომა მზის ჩასვლისა და ცაზე ვარსვლავების გამოჩენის შემდეგ დაიწყება.

P.S. უკანასკნელ საათს ცნობილი გახდა, რომ არაბთა გაერთიანებულ სიაში განხეთქილებაა: ფრაქცია „ბალადმა“, რომელიც სამ მანდატს ფლობს, პრეზიდენტისადმი ვაგზავნილ წერილში განცისადმი მხარდაჭერა უარყო. ეს ცხადია, აუმჯობესებს ბინიამინ ნეთანიაჰუს მდგომარეობას: ახლა იგი ფლობს უპირატესობას.

ფაქტია, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინი იქნება — ბინიამინ ნეთანიაჰუ, ან ბენი განცი.

ათასგზის ბედნიერია ის, ვინც გასცემს, ვიდრე...

ლუბავიჩელი რაბის ეკუთვნის მოსაზრება: „ახლა, როგორც არასდროს, ყოველ ჩვენგანს აკისრია ამოცანა და აქვს პრივილეგია, ხელი შეუწყოს ებრაელი ბავშვების განათლებას.“

ებრაელი ერის ძლიერება, ისტორიის ოღრო-ჩოღრო გზებზე გამართულად სიარული და დიდ ასპარეზზე გამოსვლა, სწორედ ცოდნამ, განათლებამ განაპირობა — ებრაელობას წიგნის ხალხს ეძახდნენ და ეძახიან. იმ დროიდან მოყოლებული, როცა ერად ჩამოყალიბდით, ებრაელი მშობლების მთავარ ამოცანად და მოვალეობად ითვლებოდა მომავალი თაობის ებრაული სულისკვეთებით აღზრდა. პირველი შეკითხვა, რომელიც ჩვენმა აღდმა წინაპარმა — იაკობმა იოსებს დაუსვა, სწავლას ეხებოდა — იაკობს აინტერესებდა, იყო თუ არა ეგვიპტეში ებრაული განათლების მიღების საშუალება. აქედან გამომდინარე: მანამ სანამ ებრაელი გადანყვეტეს, სად დასახლდეს, თუ სად განაგრძოს ცხოვრება, ჯერ არკვევს, იმ დასახლებაში, სოფელში ქალაქში, არის თუ არა, ებრაული განათლების მიღების ხელსაყრელი პირობები.

საბედნიეროდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, უკვე დიდი ხანი იეშივები და ებრაული სკოლები იატაკქვეშეთიდან გამოვიდა. შორეული წარსულის საშინელ მოგონებად იქცა ის წლები, როცა თუნდაც ებრაული ენის სწავლება სახელმწიფო დანაშაულად ითვლებოდა — ამის გამო რამდენი ჩვენი სასულიერო პირი დაუპატიმრებიათ, იყო შემთხვევები, როცა მათ სიცოცხლე გულაგის ჯურღმულებში დაუმთავრებიათ სწორედ იმის გამო, რომ ახალგაზრდობის სწავლებას ენეოდნენ.

ან უკვე წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ჩვენი თალმიდ-ხახმები ეზო-ეზო დადიოდნენ და ბავშვებს ივრითსა და ლოცვანს ასწავლიდნენ. მიუხედავად სწავლების ასეთი ფარული ფორმისა, მაინც იზრდებოდნენ თორის დიდმცოდნენი, რომლებიც თავიანთ ცოდნას მომავალ თაობებს გადასცემდნენ. ასე მოვედით დღემდე.

ახლა უკვე თამამად შეიძლება ებრაული

სკოლის დაარსებაც და იქ სწავლაც — 15 წელია თბილისში ფუნქციონირებს ავტორიზებული ქართულ-ებრაული სკოლა და საბავშვო ბაღი „ორ ავნერი“, სადაც საერთო ჯამში 150-მდე ბავშვი სწავლობს.

საბავშვო ბაღში აღსაზრდელები ორი წლის ასაკიდან, მიიღებიან, ხოლო სკოლის 1-12 კლასებში ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ სრულ ზოგად განათლებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო პროგრამაზე. აქ ბავშვები ზოგად საგნებთან ერთად სწავლობენ ებრაულ ტრადიციას, ებრაელი ხალხის ისტორიასა და წმინდა ენას — ივრითს. აღსანიშნავია, რომ როგორც საბავშვო ბაღში, ასევე სკოლაში, სწავლება და კვება უფასოა. სკოლის მიზანია კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობის აღზრდა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებით, მაგრამ განსხვავებით სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისაგან, აქ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ებრაული ენის, ერის ტრადიციების შესწავლას, ე.ი. გარდა იმისა, რომ მოზარდი აქ ღებულობს ზოგად განათლებას, ასევე სწავლობს თავისი ერის ისტორიას, ეცნობა იმას, რაც ესოდენ საჭიროა ებრაელთა ახალი თაობების ნორმალურად აღზრდისათვის. საქართველოში ებრაული სკოლის ფუნქციონირება კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს ეთნიკური უმცირესობის — ებრაული დიასპორის ინტეგრაციას საქართველოს საზოგადოებრიობასთან. საკუთარი მრწამსის, ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნებით, სკოლას თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ებრაული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების საშვილიშვილო საქმეში.

სკოლის აღორძინებაში დიდი წვლილი შეიტანეს ხაბად ლუბავიჩის მიერ საქართველოში წარმოგზავნილმა სულიერმა ლიდერებმა (შალიახებმა) რაბი მერ და რაბანით ციპორა კოზლოვსკებმა. დღეს „ორ ავნერი“ დაკომპლექტებულია ადგილობრივი

მაღალკვალიფიციური პედაგოგებით. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ სკოლას ჰყავს რამდენიმე ოქროს მედალოსანი, ხოლო კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი საქართველოსა და სხვა ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტია, ზოგ მათგანს კი უკვე მოპოვებული აქვს ბაკალავრის ხარისხი.

საბავშვო ბაღმა და სკოლამ თავისი არსებობის განმავლობაში იჯარით აღებული რამდენიმე შენობა გამოიცივლა. 2014 წელს საქართველოს მთავრობამ გამოგვიყო მინის ნაკვეთი, მისამართზე: თბილისი, გორგასალის ქ. 75.

ეს რასაკვირველია, ძალიან კარგია და დიდად მადლიერნი გახლავართ საქართველოს ხელისუფლებისა,

გაჩნდა პროგრესის პერსპექტივა — წინ იყო უზარმაზარი სამუშაო — სკოლა და საბავშვო ბაღი იჯარით აღებულ შენობაში დიდხანს ვერ იარსებებდა — გაფართოების საშუალებაც არ ჰქონდა.

ახალი სკოლისა და საბავშვო ბაღის აგება შესაძლებელი გახდა დიდი მეცენატის — მიხეილ მირილაშვილისა და მისი ვაჟის იცხაკ (სლავა) მირილაშვილის ფინანსური ძალისხმევით. რომ არა მიხო და იცხაკ მირილაშვილების ფრიად სოლიდური დაფინანსება, კვლავაც იჯარით აღებულ შენობაში იქნებოდა სკოლა, დღეს კი მას აქვს ჩინებულად მოწყობილი სამსართულიანი — თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ნაგებობა, ხოლო საბავშვო ბაღისთვის განკუთვნილი ნაგებობა ჯერ კიდევ კარკასის სტადიაშია. პატარები მალე აქაც იზეიმებენ ახალსახლობას

საქართველოში ახალი სასწავლო წელი დაიწყო, „ორ ავნერში“ კი სწავლების პროცესი რამდენიმე დღით გადაიდო. მიზეზი: არასაკმარისი დაფინანსების გამო გაჭინაურებული სამუშაოები. ვიმედოვნებთ, რომ ყველა პრობლემა დროულად მოგვარდება, სკოლის კეთილმოწყობა დასრულდება და ებრაული კალენდარული წლის დასასრული სიმბოლურად იქცევა „ორ ავნერის“ ახალ შენობაში ახალი სასწავლო წლის დასაწყისად!

განცოონ ისრაელაჰშილი

P.S.

გაზეთის გამოსვლის წინა დღეს — 26 სექტემბერს თბილისის ებრაულ სკოლაში სასწავლო წელი დაიწყო.



2019 წლის 2 მაისი, სკოლის მშენებლობის დამთავრებისადმი მიძღვილი ცერემონიალი.

და კვლავ დრეიფუსი!

დონალდ ტრამპი: ისრაელისათვის ჩემი მეტი არცერთი პრეზიდენტს არ გაუკეთებია

ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ალფრედ დრეიფუსი გახლდათ საფრანგეთის არმიის ოფიცერი, ეროვნებით ებრაელი. 1895 წელს ანტისემიტურად განწყობილმა ოფიცრებმა, როცა ცნობილი გახდა, რომ საფრანგეთის არმიის გენერალური შტაბიდან ერთობ საიდუმლო მასალები გერმანიის არმიას გადასცეს, შეითხნეს საქმე, თითქოს გერმანელთა ჯაშუში დრეიფუსი გახლდათ. დრეიფუსი გაასამართლეს და მიუვალ კუნძულზე სამუდამო გადასახლება მიუსაჯეს. პრესა კი ებრაელთა ჯაშუშობაზე, გამყიდველობაზე ალაპარაკდა. ამ საქმემ გამოავლინა ევროპის ანტისემიტური წრეების სულისკვეთება. დრეიფუსის გასამართლებამ დიდი რეზონანსი მიიღო, პარიზში ეწყობოდა მისი დასაცავი და პარალელურად საპროტესტო დემონსტრაციები. პუბლიცისტური წერილი „მე ბრალს ვდებ“, რომელიც ამ ფაქტთან დაკავშირებით ემილ ზოლამ დაწერა, პუბლიცისტის შედეგად იქცა. რამდენიმე წლის შემდეგ დრეიფუსი გაამართლეს — ნამდვილმა ჯაშუშმა, რომელმაც გერმანელებს საიდუმლო მასალები გადასცა, თავი მოიკლა, დრეიფუსი კი კვლავ არმიას დაუბრუნდა და მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე მსახურობდა.



21 აგვისტოს აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოთქვა მოსაზრება იმ ამერიკელ ებრაელთა არა ლოიალ ბის თაობაზე, რომლებიც დემოკრატიულ პარტიას აძლევენ ხმას. ამ მოსაზრების გამო ტრამპი ანტისემიტისმში დაადანაშაულეს. ამასთან დაკავშირებით ტრამპმა თქვა: — მე ისრაელთან დაკავშირებით ძალიან ბევრ საკითხზე ვაგებდი პასუხს. აშშ არცერთ პრეზიდენტს არ გაუკეთებია იმდენი ისრაელისათვის, რამდენიც მე ისრაელისათვის ვაკეთებ — და სამაგალითოდ მოიყვანა გადანყევტილება, რომლის მიხედვითაც ისრაელში აშშ საელჩო თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანა, ისიც გაიხსენა, რომ გოლანის სიმაღლეები ისრაელის შემადგენელ ნაწილად სწორედ მისმა ხელისუფლებამ აღიარა. ტრამპმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა დემოკრატი კანონმდებლები, მაგალითად, მოიყვანა დეპუტატი რაშიდა ტლეიბი და დასძინა: — ისინი ანტისემიტები არიან, ამიტომ ვფიქრობ: თუ თქვენ დემოკრატიულ პარტიას აძლევთ ხმას, ლოიალური არა ხართ ებრაელი ხალხის მიმართ, ასევე არალოიალური ხართ ისრაელის სახელმწიფოს მიმართ. ჩემის აზრით, დემოკრატები ძალიან შორს არიან ისრაელისაგან. ვერ გამიგია, როგორ ახერხებენ ამას! ტრამპის ამ კომენტარმა ებრაელ დემოკრატ ამომრჩეველთა კრიტიკა გამოიწვია.

სტოკჰოლმის თემის მამაცი მეთაური

არსებობს ასეთი ტრადიცია: შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველი წლის 27 აგვისტოს აწყობს მემორიალურ ლექციას რაულ ვალენბერგის — იმ შვედი დიპლომატის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის წლებში მრავალი ებრაელი იხსნა გესტაპოს ჯურღმულებისაგან და სიკვდილს გამოსტაცა. ტრადიციისამებრ ამ ღონისძიებაზე მოსანვევი ბარათი მიიღო სტოკჰოლმის ებრაელთა თემის მეთაურმა არონ ფერშტანდინმა თემის მეთაურმა მოსანვევი ბარათი გადააბრუნა და მეორე მხარეს დააწერა: „მინვევისათვის მადლობას მოგახსენებთ. მიუხედავად იმისა, რომ დიდად ვაფასებ თქვენს ტრადიციას ყოველ წელს ატარებდეთ ლექციას ამ თემაზე, მე არ შემიძლია დავესწრო მას. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ დღეს თქვენ მიიღეთ ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი. ირანის რეჟიმი ხოცავს დისიდენტებს, ჰომოსექსუალებსა და ებრაელებს. პერიოდულად იმუქრება, რომ გაანადგურებს ისრაელის სახელმწიფოს და ებრაელ ხალხს. აი, ამის გამო მომავალ კვირაში მე ლექციას ვერ დავესწრები. ეს გახლავთ ჩემი პროტესტი“.

„მე ბრალს ვდებ“

ახლახან კი კანის კინოფესტივალზე სახელგანთქმულმა კინორეჟისორმა რომან პოლანსკიმ წარადგინა ახალი ფილმი „მე ბრალს ვდებ“ (ფილმს კიდევ ორი სათაური აქვს: „დრეიფუსის საქმე“, „ოფიცერი და ჯაშუში“), რომელზეც კრიტიკა ალაპარაკდა. ფესტივალის შედეგების შეჯამებისას რომან პოლანსკის ეს ფილმი გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა.

მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა

ფანტასტიური ოკეანაცია

ახალი ფიქი

ისრაელის ბიოტექნოლოგიური კომპანია Bonus Biogroup შეუდგა ავადმყოფის სიმსუქნის — ქონისაგან — ძვლის უჯრედების გამოყვანას. ახალი ძვალი კარგად ეისახობოცდება ახალ ადგილს.

ეს ახალი გამოგონება ძვლის დეფექტებით განაშებულ ადამიანებს მიეშველება. ხაიფის ახალმა სტარტაპმა Bonus Biogroup შეიმუშავა ძვლის უჯრედების ლაბორატორიულად გამოყვანის მეთოდი ძვლის სერიოზული დეფექტების მქონე პაციენტებზე გადასანერგად. ძვალი ავადმყოფისავე ქონისაგან მზადდება — იგი ორ კვირაში გამოჰყავთ და შეჰყავთ დეფექტურ სფეროში. ავადმყოფები რამდენიმე თვეში ჯანსაღდებიან და ფუნქციური ხდებიან. ასე წარმართა დანი იაკობსონის მკურნალობა, რომელსაც მარცხენა ფეხი დამსხვრეული ჰქონდა. მკურნალობის შემდეგ არა მხოლოდ უყავარჯნოდ სიარული შესძლო, სპორტსაც კი მიჰყო ხელი.

— ექიმებმა დანის სხეულიდან ცოტაოდენი ქონი გამოქაჩეს, მისგან ლაბორატორიაში ძვლის ახალი უჯრედები გამოიყვანეს და ინექციის საშუალებით დაზიანებულ ძვალში შეიყვანეს. ახლადწარმოქმნილმა ძვალმა ექვს კვირაში დეფექტი სრულიად ამოავსო. ხოლო 2 თვეში, როგორც დანი ამბობს, ფეხი ნორმალურად მუშაობდა.

1. რატომ მოხსნეს ხსოვნის დავა?

ქ. ვილნიუსის მერმა რემიგიუს შიმაშიუსმა ღია წერილი გაუგზავნა ლიტვის პრეზიდენტს გიტანას ნაუსედესს. ქალაქის მერმა პრეზიდენტს დაწვრილებით მოახსენა, ივლისის დამლევს თუ რატომ, რა მიზეზით გადანყვიტა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაზე გაკრული გენერალ იონას ნორეიკას მემორიალური დაფის მოხსნა. ქალაქის მერი წერილში უთითებს, რომ გენერალი ნორეიკა მონაწილეობდა ებრაული გეტოს შექმნაში და ნაწილობრივ პასუხისმგებელია ნაცისტთა მიერ ებრაელების მასიურ ხოცვა-ჟლეტაში. გერმანელთა მიერ ლიტვის ოკუპაციის წლებში გენერალი იონას ნორეიკა ფაშისტებთან თანამშრომლობდა. დაინიშნა რა შიაულიაის ოკრუგის მეთაურად, მის მიერ სანქცირებული იქნა გეტოს შექმნა და ებრაელთა ქონების კონფისკაცია. 1946 წლამდე — მანამ სანამ დააპატიმრდნენ და დახვრეტდნენ (1947წ.) ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. კავშირის დაშლის შემდეგ კი როგორც ლიტვის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს, მისი სახელის უკვდავსაყოფად, ვიტისის ჯვრის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭეს.



2. და დააბრუნეს კიდევ

5 სექტემბერს ვილნიუსში, ს.დაუკანტასის მოედანზე გაიმართა იონას ნორეიკას დამცველთა მიტინგი. მიტინგის დაწყებამდე კი მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის შენობაზე კვლავ გააკრეს მემორიალური დაფა, რომელიც ივლისის ბოლოს ქალაქის მერის განკარგულებით მოიხსნა. გაერთიანება როატრია -ს გამგეობის თავმჯდომარემ ვიტაუტას სინიციამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იონას ნორეიკას ხსოვნის მემორიალური დაფის ხელახლა გაკვრის საკითხი მერიასთან არ შეუთანხმებია. — ჩვენ და კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი მივიჩნევთ, რომ ეს საკითხი უნდა შეთანხმდეს დეპარტამენტთან და იმ იმ უწყების ხელმძღვანელობასთან, რომელსაც ეს ნაგებობა ეკუთვნის. კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტთან ყველაფერი შეთანხმებულია, ნაგებობის უწყების ხელმძღვანელობასთან, ახლა ვათანხმებთ.



ახალი ჰოლოკოსტით დამუქრება



უკრაინის ებრაული კომიტეტის თავმჯდომარე ედუარდ დოლინსკი იუწყება, რომ უკრაინაში კიროვოგრადადის ოლქში, ქ. გოლოვანევსკში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა საფლავები შეურაცხვეს და მუქარის წერილიც დატოვებს. ამ ქალაქში ებრაელთა მასიური დახვრეტა 1941 წლის ივნისში დაიწყო: გერმანელთა

ოპკუპაციის პირველსავე დღეებში დახვრეტეს 900 ებრაელი, მოგვიანებით, სექტემბერში სიცოცხლეს გამოასალმეს 570 ებრაელი, 1942 წლის იანვარში კი 36 საბავშვო ბაღიდან გამოყვანილი ებრაელი ბავშვი, ხოლო თებერვალში ასობით ებრაელი დახვრეტეს.

ამ ქალაქში გერმანელმა ფაშისტებმა სულ 54 ათასი ებრაელის სიცოცხლე იმსხვერპლეს.

აი, სწორედ ამ პატარა ქალაქის ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალურ დაფებზე მიახატეს სვასტიკები და ებრაელთა შეურაცხმყოფელი ფრაზები.

რომან აბრამოვიჩი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ

როგორც გაზეთი „Jerusalem Post“-ი იუწყება, მილიარდერმა რომან აბრამოვიჩმა, რომელმაც შარშან მიიღო ისრაელის მოქალაქეობა და საცხოვრებლად იქ გადავიდა, ებრაულ სააგენტოს („სოხნუთი“) ხუთი მილიონი დოლარი შესწირა. ებრაული სააგენტოს საერთაშორისო განყოფილების თანამშრომელი ამბობს, რომ ეს თანხა გამოყენებული იქნება მთელ მსოფლიოში ანტისემიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, რომან აბრამოვიჩმა არა-რა კომენტარი არ გააკეთა, სოხნუთის თავმჯდომარემ იცხაკ ჰერცოგმა კი მსოფლიოს ქვეყნებში ებრაელთა უსაფრთხო ყოფისათვის ესოდენ არსებითი ფინანსური შემოწირულობის გამო, მადლობა გადაუხადა.

იცხაკ ჰერცოგმა აღნიშნა, რომ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტისემიტიზმის წინააღმდეგ წარმომოხილი ინცინდენტების ზრდა გვავალებს ებრაელთა უსაფრთხოება მთელ მსოფლიოში გაავადლიეროთ.

— ფაქტია: ებრაელები ევროპის ქუჩებში კვლავ საფრთხეში აღმოჩნდნენ. ვცდილობ მსოფლიოს ლიდერები დავარწმუნო რომ ამ ტენდენციასთან საბძოლველად, საჭიროა ძალთა გაერთიანება.

ლონდონის „ჩელსის“ მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა (2019 წლის დასაწყისის მონაცემებით 13.1 მილიარდი დოლარის პატრონი გახლავთ) ბოლო ოცი წლის განმავლობაში მსოფლიოს ებრაული თემების საჭიროებისათვის 500 მილიონ დოლარამდე შესწირა, ხოლო ამავე პერიოდში მისი მთლიანი საქველმოქმედო დანახარჯი 2.5 მილიარდი დოლარია.

არა მხოლოდ მილიარდები, საკუთარი თავიც ...



მაიკლ ბლუმბერგმა — ცნობილი ებრაელმა ბიზნესმენმა და ნიუ-იორკის ყოფილმა მერმა განაცხადა, რომ მზად არის მთელი თავისი ქონება კლონირების მეცნიერულ შესწავლას შესწიროს — ამ მიმართულებით სამეცნიერო მუშაობას ჯონ ხოპკინსის (აშშ) უნივერსიტეტი ეწევა. როგორც ამ გამოჩენილმა ფილანტროპმა და ბიზნესმენმა განაცხადა, სამეცნიერო კვლევისათვის დიდი შეწირულებანი, მისი ცხოვრების განუყრელი ნაწილია — ამიტომ იყო, რომ ამას-წინათ ხოპკინსის უნივერსიტეტს 1.8 მილიარდი დოლარი შესწირა.

— როგორც ხოპკინსის უნივერსიტეტის აღზრდილი, მე ვალდებული ვარ შევწირო მას ყველაფერი ის, რისი შეწირვაც შემიძლია.

ამის შემდეგ მაიკლ ბლუმბერგმა განაცხადა, რომ მზად არის კლონირების სფეროში კვლევის

სრულყოფისათვის გარდაცვალების შემდეგ თავისი გვამიც კი ხოპკინსის უნივერსიტეტის საკუთრება გახდეს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები თბილად შეეგებნენ ბიზნესმენისა და ფილანტროპის განცხადებას და თქვეს:

— ბლუმბერგი გარდაცვალების შემდეგაც კი მშობლიურ ალმა-მატერს ეხმარება.

რაბანუთს ზურბს აქცევენ

ებრაული ორგანიზაციების ასოციაციის „პანიმის“ მოხსენების მიხედვით, ისრაელში თანდათან მცირდება იმ წყვილების რაოდენობა, რომლებიც თავთავიანთი ქორწინების რეგისტრაციას რაბანუთში ახდენენ, თუმცა, არაფერი უშლით ხელს — არა აქვთ არა-რა დარღვევა, რომ ქორწინება რაბანუთში არ გააფორმონ. ამგვარი წყვილები — ქალ-ვაჟი-რაბანუთის გვერდის ავლასა და დამოუკიდებელ საქორწინო ცერემონიალს ამჯობინებენ.

„პანიმის“ ანგარიშში ნათქვამია, რომ მიმდინარე წელს რაბანუთის მიღმა ჩატარებულ საქორწინო ცერემონიალთა რაოდენობა 7% გაიზარდა, 2016 წელთან შედარებით კი, 16% არის მომატებული.

ხოლო თავად მთავარი რაბანუთის მონაცემებით, 2015 წელთან შედარებით, რაბანუთში დარეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობა 11% შემცირდა.

80 წლის წინათ

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ექვსი მილიონი ებრაელის სიცოცხლე იმსხვერპლა და შეცვალა არა მხოლოდ ებრაელთა, მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრება. ამ ომს სამოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეენირა.

ისრაელელი ისტორიკოსების მონაცემებით მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე 1.5 მილიონი ებრაელი იბრძოდა. ამათგან ასი ათასობით ადამიანი ბრძოლის ველზე დაეცა, 350 ათასი დაიჭრა. დაჭრილთაგან ყოველი მესამე ადამიანი მძიმედ გახლდათ დაჭრილი.

საბჭოთა არმიის რიგებში ნახევარ მილიონზე მეტი ებრაელი იბრძოდა. თითქმის 300 ათასი გამარჯვებას შეენირა. მეტწილად ებრაელთა შორის 167 ათასი ოფიცერი გახლდათ, 305 კი გენერალი, შვიდი გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება 150 ებრაელს მიენიჭა, ამათგან 50 გარდაცვალების შემდეგ.

თეთრი სახლის ბიუჯეტში

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ამზადებენ მომავალი — 2020 წლის ბიუჯეტს — თეთრმა სახლმა კონგრესში უკვე გაგზავნა მომავალი წლის ბიუჯეტის მონახაზი. აშშ ბიუჯეტში კვლავაც არის გათვალისწინებული ისრაელისადმი ფინანსური დახმარება 3.3 მილიარდი დოლარი სამხედრო ხარჯებისათვის. ისრაელისათვის უახლოესი ათი წლის განმავლობაში ამგვარ ყოველწლიურ დახმარებას ჯერ კიდევ ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მოანერგა ხელი.

ორი კგლი

ქ. ხარკოვის ტარას შევჩენკოს სახ. პარკში ერთდროულად ამ ქალაქში მცხოვრები ორი ცნობილი ებრაელის ძეგლი დაიდგა.

ერთი ძეგლი დაუდგეს მენახემ-მანა ნაუხის-ძე ნეიმანს, რომელიც მარკ ბერნესის სახელით უფრო გახლავთ ცნობილი და მთელ საბჭოთა კავშირში განთქმული მსახიობი და მომღერალი იყო, მეორე სკულპტურა კი გამოჩენილ საბჭოთა კომპოზიტორს ისაკ დუნაევსკის დაუდგეს. ეს ორი ხელოვანი კარგა ხანს ცხოვრობდა ხარკოვში, ქალაქი მათს ხსოვნას ინახავს.

ამავე პარკში მალე დაიდგმევა გამოჩენილი მეცნიერის — ილია ვერნანდსკის და მსახიობ ლეონიდ ბიკოვის ძეგლები.

აქ უკვე დაიდგა ილია რეპინის ძეგლი.




გაზეთ „მენორას“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის თვალსაჩინო წევრს ნოდარ პარლაგაშვილს დის — ქ-ნი **ვენერა პარლაგაშვილი-იზრაელაშვილის** გარდაცვალების გამო

ლერა, გურამ, და მიხეილ მეგრელიშვილები მწუხარებას გამოთქვამთ უახლოესი ნათესავის, ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკის **ქეთო იაკოვის ასული მებრალიშვილის** გარდაცვალების გამო.

ლუბა ენუქაშვილი, რეუვენ ენობი (რუბენ ენუქაშვილი) მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, დიდებული პიროვნება, ფიზიკოსი **ქეთო იაკოვის ასული მებრალიშვილი** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სოსო აჯიაშვილი, მწუხარებას გამოთქვამს **ქეთო იაკოვის ასული მებრალიშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ახლობლებს.

<p>დაგუჟანებალნი და გამომცემეპლნი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57</p>	<p>რეგისტრირებულია ქ. თბილისის ათაფინდის რაიონის სასაგარეო მიმრ. რეგისტრაციის № 4/1-921</p>	<p>რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  9771987898003</p>
---	--	--